ქართული საეკლესიო გალობა

Georgian Church Chanting

2

წმიდაო ექვთიმე ეკლდრე ღმერთსა ჩვენთვის

„გელათში დღე და ღამე სულ თავაუღებლად გადანერაში ვიყავი, თანაურ ნანერებს ვადარებდი, რომ შეცთომა არ გამპარვოდა.

ამათ ნერის დროს შემოდიოდნენ ჩემთან ხანდახან ბერები და მორჩილები და მეტყოდნენ: ვაი, რა ტუტური ხარ! რატომ–მეთქი მე ვეტყოდი. იმიტომ, რომ როცა შემოვდივართ დღე და ღამე სულ კრუხივით დაყრდნობილი ხარ მაგიდაზე, სულ სნერ! უფულოდ ტყულათ რათ უფირვებ შენს თავს! ხოლო მე პასუხს ვეტყოდი: მე მაგაზე არა ვფიქრობ, თუ უფასოდ რადა ვმუშაობ–მეთქი, რადგან მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს თვითონ ფულია, თვითონ ძვირფასი განძია, ეს ოქრო–ვერცხლზე და თვალ–მარგალიტზე უძვირფასესია, საუკუნო საუნჯეა! მე არ წარმომიდგენია როგორც მუქთა საქმე, არა, არამედ მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქრომჭედელი და თვალ–მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ, ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე ულირსი იმაში ხელს ურევ"

წმ. ექვთიმე აღმსარებელი
(კერესელიძე)
1865-1944

"When I was living in Gelati Monastery I spent days and nights painstakingly recopying chants. I compared my good copies with the originals to make sure that I didn't make any mistakes. Often while I was writing, other monks and novices would come into my room and say, 'You are so foolish!' I asked them why they thought so, and they would say, "We see you hunched over the table day and night, working and working, without a dime to show for it." I would reply, "How can I think about money while working with this treasure trove? It is more precious than gold, silver, and jewelry. It is an eternal treasure! I cannot even think of my work as gratuitous, not at all! I imagine myself as a goldsmith who sorts through his pieces to put all the jewelry in order. And sometimes I wonder how this treasure happens to be in my hands, that such an unworthy person as myself dares to touch it at all."

St. Ekvtime Confessor
(Kereselidze)
1865 -1944



ქართული გალობა

გელათის სკოლა

II ტომი

თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა საგალობლები

The Georgian Hymn Singing

Gelaty School

The Hymns of Immovable Celebrations and Twelve Celebrations of Our Lord

თბილისი

2006

წინამდებარე გამოცემა - „ქართული გალობა” II ტომი, წარმოადგენს ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშების - საეკლესიო საგალობლების კრებულს. მასში შესულია გელათის საგალობო კილოს სადღესასწაულო საგალობლები. ეს არის საუკუნეთა მანძილზე ნევმირებული, უმეტესად ზეპირი ტრადიციით გადმოცემული და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნოტებზე გადაღებული უძველესი საგალობლების მუსიკალური რედაქტირების პირველი ცდა, რომელიც განხორციელებულია ანჩისხატის ტაძრის გუნდის სამგალობლო პრაქტიკის გათვალისწინებით.

გამოცემას თან ახლავს ფონოჩანაწერი, რომელსაც ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი ასრულებს.

წიგნი განკუთვნილია მართლმადიდებლური ტაძრის გუნდებისა და სპეციალისტთა წრეებისათვის.

The persent edition - "Georgian Hymns" volume II is a collection of church canticles - old professional music models. It consists of canticles of Gelati hymn mode, which are arraged according tu the devine service series. It is the first attempt of musical editing or note records done on the brink of XIX-XX centuries and it has been fulfilled talking into account the experience of Anchiskhati choir.

the book is intended for choruses of orthodox churches and circle of the experts.

კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა: **მალხაზ ერქვანიძემ**

The collection has collected to the education and has prepared: **Malkhaz Erkvanidze**

რედაქტორი: ნოდარ მამისაშვილი

რეცენზენტი: დავით შუღლიაშვილი

Editor: Nodar mamisashvili

Reviewer: David Shugliashvili

წიგნი იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის,
უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

© **სრულიად საქართველოს საპატრიარქოს**

საეკლესიო გალობის ცენტრი

2006

„არამედ სამუსიკელოჲ რაჲ რამეთუ ყოვლითურთ სამოსოჲ არს ჩუენი ესე სომოყუსოჲ მორთული წმიდისა მიერ სულისა, და ესეცა სამთა მიერ ფრთონგთა, ვიტყჷ სამთა დაბამვათა, რომელთა მიერ შეინაწევრების ყოველი შეყოვლებული: მზახრ, ჟირ და ბამ, რქმულნი და რანივე მრთველობანი ძალთა და ჴმათანი. ამათ სამთა მიერ მემოქმედეობენ კეთილ ფოოგოვნებათა, რამეთუ უსწორობისაგან მორთულებათაჲსა მიეცემის სისწორე კეთილ დადასვასა მორთულებისასა. ვინაჲ ესთავე რიცხუსა შორის ზესთა წმიდისა სამობისასა იხილო, ვითარმედ მეთქუენი უშვიელობასა მამისასა, და შობასა ძისასა, და გამოვლენასა სულისა ზესთა წმიდისასა, და ერთობასა ბუნებისასა გასხუებულებითა გუამოვნებათაჲთა. ვინაჲ აწ აქა სამუსოდ გასხუაებულთა ზედა იხილო მზახრსა, ჟირსა და ბამსა ერთობაჲ შეყოვლებისაჲ”.

იოანე პეტრიწი

"Our music has been blessed and beautified by the Holy Spirit, and has three core elements named mzakhr, zhir, and bam. The simultaneous tuning of these three elements, which can be produced by either voice or string, reflects the unity of the Father, Son, and Holy Spirit. Of different substance, but together forming the holy Trinity, three become one. The same exists in music: the tuning of three unique voices, mzakhr, zhir, and bam, creates one whole."

Ioane Petritsi 12th century

„ქართული საეკლესიო მდიდარი მელოდიები წარმოგვიდგენენ არამც თუ მხოლოდ საზოგადო საგალობლებს, არამედ ცალკე ფრაზების აზრს და სიტყვებსაც კი. ამ მხრივ ჩვენი მელოდიები შეუდარებლები არიან და უნდა ვმადლობდეთ გამჩენს, რომ ესეთი დიდი საუნჯე მოუნიჭებია ჩვენთვის, ჩვენი მორწმუნე ერისათვის . . .

ათასწლობით ქართული გალობა ატკბობს ჩვენს სმენას. გალობა იმთავითვე გვქონდა სამხმიანი და არა უნისონური, როგორც აქვთ ბერძნებს და სომხებს”.

კირიონ II საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

"Not only is Georgian church chant rich with melody, each phrase and even each word carries special meaning. From this point of view, melody and text are incomparable, and we thank God for blessing our nation with such a musical treasure. This three-voiced chant, unlike the chant of our neighbors the Armenians or the Greeks, has been delighting our ears for centuries…."

Catholicos-Patriarch Kirion II of All-Georgia, 1917 - 1918

„ჩვენ ჩვენი გალობის გადაგვარების და დამახინჯების შიში აღარა გვაქვს, რადგანაც ის ნოტებზეა დაწერილი თავის საკუთარს ჰანგზე, მაგრამ ეს ნოტებად დაწერილი თუ არ დაიბეჭდა, თუ მისი შესწავლა და ცოდნა არ გავრცელდა სასწავლებლებში, ხალხში და არ გაჩაღდა მისი ღაღადება ეკლესიებში, მაშინ მოკლებული თავის დანიშნულებას, გადაგვარებაზე უარეს მდგომარეობაში დარჩება”.

ფილიმონ ქორიძე

"We are no longer fearful that our church chants will disappear forever, because as they have been accurately transcribed into notation the same way they have been sung. But if these transcriptions are not published and taught to people in schools, or if these chants are not sung in churches as part of our daily services, then they will lose their purpose, and that would be even worse than their degeneration."

Pilimon Koridze, 1835 - 1911

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულით გრძელდება გამოცემათა სერია, რომელიც მიზნად ისახავს ძველი ქართული გალობის გავრცელებას ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. წინა, პირველი ტომი დიდი ლოდინისა და სიძნელეების შემდეგ გამოიცა ორ ვარიანტად. მასში შევიდა ღამისთევის ლოცვისა და წირვის უმთავრესი და აუცილებელი საგალობლები. ამ კრებულში კი, მოცემულია თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა ის ძირითადი საგალობლები, რაც იხმარება ჩვენს დღევანდელ საღმრთისმსახურო პრაქტიკაში. ერთი კრებული ყველა წმიდანის ხსენების საგალობლებს ვერანაირად ვერ დაიტევდა. ამდენად ეს უნებლიე ნაკლი ამ წიგნს გააჩნია. საგალობო კილო იგივეა, რაც პირველი ტომის. სამგალობლო პრაქტიკამ და გამოცდილებამ დაგვანახა, რომ გელათი-მარტვილის სკოლის სადა და ნამდვილი კილოს გალობა თავისი გაწონასწორებულობით ყველაზე კარგად ესადაგება ღმრთისმსახურებას, და ეს ასეცაა. ამ გალობაში ყველაზე შესანიშნავადაა სიტყვა და ჰანგი ერთმანეთთან შერწყმული. მსურს ცოტაოდენი რამ მოგახსენოთგელათის სამგალობლო სკოლის ტრადიციების შესახებ.

ტაო-კლარჯეთის შემდეგ, შუა საუკუნეებიდან საქართველოში სასულიერო ესტაფეტას იღებს გელათისა და იყალთოს სასულიერო აკადემიები და ასევე მარტვილის (ჭყონდიდის) მონასტერი. მათ შორის კი განსაკუთრებით აღსანიშნავია გელათი. იმ დროის მსოფლიოში გელათის სასულიერო-საგანმანათლებლო კერა ეღთ-ერთი წამყვანი იყო. მუსიკის სწავლებაც, გელათში, შესაბამის დონეზე იდგა. აქ თავი მოიყარა ქართულმა სამგალობლო ტრადიციებმა, რაც ქრისტიანობის სხვადასხვა პერიოდებიდან ვითარდებოდა საქართველოს მონასტრებში.

რუსეთის ცარიზმის შემოსვლიდან იდევნება ქართულ ენაზე ღმრთისმსახურება და ასევე ქართული გალობაც. XIX საუკუნეში ეკლესია-მონასტრებში იგი კანტი-კუნტად თუ გაიჟღერებს და ამასაც დიდ მოვლენად თვლიან. ქართული გალობა კარგავს თავის პატრონს ეკლესია-მონასტრის სახით. ამ პერიოდში მას პატიოსნად და სათუთად ინახავს თავად-აზნაურობა. ამ დროს იგი მოიხსენიება საგვარეულო კილოების სახელით. მაგალითად: „დუმბაძის კილო", „ჭალაგანიძის კილო", „კარბელაანთ კილო" და სხვ., რაც ხადია პირობითია, რადგან ყველა ამ ე.წ. საგვარეულო კილოებს ერთი ძირი, ერთი წარმომავლობა გააჩნიათ, ერთნაირი მელოდიები ანუ ხმათა სისტემები აქვთ.

ვინაიდან დევნილ გალობას ეკლესია-მონასტერი ვეღარ უწევდა კონტროლს, შედეგად საეკლესიო საგალობლებში მცირედით შეიპარა საერო სიმღერის გავლენა. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში ე.წ. „კარბელაანთ კილოს" გალობაში, მუხლების ბოლოს ზოგჯერ გვხვდება კართლ-კახური სიმღერისათვის დამახასიათებელი მელიზმატიკა. ასევე, ამ კილოს გალობაში შუა ხმა ზედმეტად დაწინაურებულია, რითაც იგი გარკვეულწილად იმორჩილებს განაპირა ხმებს, რაც ვიზუალურადაც კარგად ჩანს. მეორე ხმის ასეთ აქტიურობას ხალხური სიმღერის გავლენად მივიჩნევთ. შემოქმედის სკოლის გალობის, ე.წ. „დუმბაძის კილოს" ახასიათებს რიტმულად მკვეთრი მოძრაობები, ბგერიდან ბგერაზე გახშირებული ნახტომები, რაც გალობისათვის უცხოა და ახასიათებს გურულ სიმღერას. სამაგიეროდ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენამდე მოღწეულმა ყველა საგალობო კილომ დაიცვა და შეინარჩუნა კანონიკურობის მომენტი, რაც გამოიხატება საგალობლის მელოდიკაში და სტრუქტურაში. შესანიშნავი და ძვირფასია ეს ე.წ. საგვარეულო კილოები, რომლებიც ღვთის შეწევნით მალე გამოიცემა (იგულისხმება დავით შუღლიაშვილის მიერ გაშიფრული შემოქმედის სკოლის, ე.წ. „დუმბაძის კილოს", **100** საგალობელი - გადმოცემული არტემ ერქომაიშვილის მიერ, ფონოჩანაწერის სახით; ასევე გამოსაცემად მზადდება აღმოსავლეთ საქართველოს, ე.წ. „კარბელაანთ კილოს", საგალობლები). მაგრამ საღმთისმსახურო პრაქტიკაში პრიორიტეტი უმეტესად გელათის სკოლის სადა-ნამდვილი კილოს გალობას ენიჭება.

სამწუხაროდ მეტად მწირია ცნობები იმისათვის, რომ თვალნათლივ ჩანდეს ქართული გალობის განვითარების ისტორიული გზა. კერძოდ, გელათის სკოლის შესახებ შეგვიძლია რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა მოვიყვანოთ.

აი რას წერს ფილიმონ ქორიძე: „გელათიდან და ჭყონდიდიდან ვრცელდებოდა ყველგან გალობა საქართველოში . . . გურიაში, სადაც ახლა ვარჯიში გალობა (გამშვენებული გალობა - მ.ე.) მეფობს, რამდენიმე საუკუნის წინათ სადა გალობას ხმარობდნენ. გურიის მთავარს, მამია მეოთხეს, არ მოსწონდა ეს გალობა, გამოიწვია იმერეთიდან გელათში ნასწავლი მგალობლები, აზნაურნი ცქვიტიშვილები, რომელთაც დაამკვიდრეს გურიაში ვარჯიში გალობა" (იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, პ. კარბელაშვილის პირადი არქივი ფონდი № **1461-126**; ფ. ქორიძის სტატია „მცირე შენიშვნა გალობა სიმღერების ისტორიულ მიმოხილვაზე მამა პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ").

დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე გვაუწყებს: „გელათი წინეთ გალობის ბუდე იყო. როგორც ვიცით, ჩვენი სახელოვანი გალობლები, განსვენებული: ანტონ დუმბაძე, სინო კანდელაკი, დავით ჩხარელი (შოთაძე) და სხვა საუკეთესო გალობლები გელათში იყვნენ გაზდილი" (გაზეთი „შინაური საქმეები" **1910** წ. № **18**).

„რის იმერული კილო! ეს არის ნამდვილი კილო მთელი საქართველოს ეკლესიის გალობისა. ისტორიულად გაგვიგია, გარკვეული სახით მომდინარეობს თვით დავით აღმაშენებლის დროიდგან. საეკლესიო გალობის დედა-ბუდე ყოფილა გელათის მონასტერი, აქ ყოფილა უმთავრესი „სასწავლო" (სკოლა) და აქედგან ეფინებოდა თურმე გალობა არათუ მთელს იმერეთის მხარეს, არამედ გადაღმა საქართველოსაც. ესრეთ წოდებული „კარბელაანთ კილო" სხვა არა არის-რა ძირითადად, თუ არა იგივე გელათის კილო" (**1890** წ. გაზეთი „ივერია", № **259**, სტატიის სათაური „ფილიმონ ქორიძისა და საეკლესიო გალობის შესახებ").

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლები ახლო კავშირში ყოფილან ერთმანეთთან, რადგან მათი აღზრდილები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ეწყობოდნენ ერთმანეთს გალობაში. მოგვყავს ორი საყურადღებო ცნობა. საინტერესო ამბავს ყვება ცნობილი გურული მგალობელ-მომღერალი არტემ ერქომაიშვილი: „იმ დროს დასავლეთ საქართველოში გალობის კილო ერთი იყო გამეფებული. მარტვილის მონასტერში გალობდა ცნობილი მგალობლის (დავით დუმბაძის მეგობრის) დიტო (დიმიტრი) ჭალაგანიძის ჯგუფი. ერთ დღეს ვიღაც დიდებულს ასაფლავებდნენ. მარტვილის მონასტერში მის პატივსაცემად წირვა იყო გამართული. მოხდა ისე, რომ დიტოს ერთ-ერთი მგალობელი ავად გაუხდა და ეძებდა დამხმარეს. მე შევთავაზე დახმარება . . ." შემდეგ აგრძელებს - „შევასრულეთ ყველა საგალობელი, რაც კი საჭირო იყო წირვის დროს. როცა ყველაფერი დამთავრდა, დიმიტრიმ შემიყვანა თავის ოთახში, მადლობა გადამიხადა და მითხრა, როდის მოასწარი, ბიძია, ამდენი საგალობლის შესწავლა ასე ახალგაზრდა კაცმაო" (ანზორ ერქომაიშვილი „ბაბუა" გვ. **31**).

საყურადღებოა ერთი შემთხვევა. როდესაც, ფილიმონ ქორიძე ანტონ დუმბაძისაგან იწერდა საგალობლებს ნოტებზე, როგორც ცალკე, ასევე სხვა თანამგალობლებთან ერთად, ანტონმა მას ჩააწერინა არა შემოქმედის, ე.წ. „დუმბაძის კილოს" საგალობლები (დამახასიათებელია ვერტიკალში ორი კვინტის ხშირი პარალელიზმები), არამედ ის გამშვენებული კილო, რომელიც გურიაში გელათიდან გავრცელდა. ზემოთ მოყვანილი ფ. ქორიძის ცნობაც ამაზე მიუთითებს. სავარაუდოა, რომ ამ კილოზე იგალობა არტემ ერქომაიშვილმა მარტვილის მონასტერში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხალხური სიმღერისაგან განსხვავებით, ქართული გალობის მელოდიკა და მრავალხმიანობის ტიპები, ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად, მთელ საქართველოში ერთია.

წინამდებარე კრებულში შეტანილი საგალობლები, რომლებიც ძირითადად იღუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერებიდან გამოვკრიბეთ, წარმოადგენს გელათისა და მარტვილის სკოლის გალობის ნიმუშებს. თუმცა უშუალო წერილობითი წყაროები, რომ ეს საგალობლები საკუთრივ გელათის სკოლას მიეკუთვნება, ჩვენ არ გაგვაჩნია, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ცნობები ამ აზრის სისწორეს ადასტურებს. ასევე მოგვყავს შემდეგი არგუმენტები:

1) საგალობო კილო დასავლურია სადაც, როგორც გვაუწყებენ, გალობა გელათიდან და მარტვილიდან ვრცელდებოდა.

2) ფილიმონ ქორიძე იწერდა საგალობლებს ნოტებზე სამი კუთხის წარმომადგენლებისაგან: ანტონ დუმბაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე და მღვდელი ნესტორ კონტრიძე (გურიიდან), დიმიტრი ჭალაგანიძე (სამეგრელოდან), ივლიანე წერეთელი და არისტოვლე ქუთათელაძე (იმერეთიდან), დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე (დაიბადა გურიაში და მოღვაწეობდა ქ. ქუთაისში) და სხვ. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კუთხის ყველა ეს დიდი მგალობელი ჩასაწერად მიმართავდა საგალობო კილოს ერთ წყაროს, რადგან სხვა კილოური მიხრილობა ქორიძის კრებულს (იხ. ქართული გალობა გადაღებული ფილიმონ ქორიძის მიერ, პარტიტურა № 1, ტფილისი 1895 წ.) არ ახასიათებს. ასეთი წყარო უსათუოდ უნდა ყოფილიყო გელათისა და მარტვილის სკოლების გალობა, რომელთა სამგალობლო ტრადიცია ძირითადად ერთმანეთს ემთხვეოდა. საინტერესო ცნობას ვხვდებით ისევ გაზეთ „ივერიის" ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ნომერში: „შესანიშნავია ის გარემოება, რომ როდესაც შესამოწმებლად მოჰყავდათ მგალობლები იმერეთის (აქ იგულისხმება მთელი დასავლეთ საქართველო - მ.ე.) სხვადასხვა კუთხითგან, აღმოჩნდა, რომ ყველანი ისე თანახმად გალობენ თითქო ერთი კაცისაგან უსწავლიათო. დუმბაძე (გურიიდან), ჭალაგანიძე (სამეგრელოდამ), კანდელაკი (თვით სოფელ გელათითგან), მეძმარიაშვილი (ქვემო იმერეთითგან), იოსებ წერეთელი (ზემო იმერეთითგან), ვ. ქუთათელაძე (ხონითგან) - ყველანი ერთ კილოზე გალობენ, ესენი იყვნენ ქორიძისაგან გადაღებულ საგალობლების შემმოწმებელნი, ხოლო გადამღებინებლები იყვნენ კიდევ სხვები და ისინიც ამათ კილოზე გალობენ".

3) გამშვენებული კილო, ანუ ვარჯიშით გალობა მემკვიდრეობით კავშირშია სადა-ნამდვილ კილოსთან. Q674 ხელნაწერი შესანიშნავი მაგალითია, სადაც თვალნათლივ ჩანს სადა, ნამდვილი კილოს და გამშვენების სტადიები Q674 ხელნაწერში კერესელიძე გამშვენებულ საგალობლებს თვალსაჩინოებისათვის წინ ნიმუშად ურთავს ნამდვილი კილოს საგალობლებს, რითაც ავლენს მათ შორის არსებით მსგავსებას. ე.ი. ეს ნამდვილი და გამშვენებული კილოს საგალობლები ერთ სკოლას წარმოადგენენ. და თუ ეს გამშვენებული კილო, თანახმად ფილიმონ ქორიძის ცნობისა გელათის სკოლისაა, მით უმეტეს მისი დედანი - ნამდვილი კილო, ანუ როგორც ჩვენ მას ვეძახით სადა კილო, უფრო ძველ-გელათური გალობაა. თანამედროვე გამოკვლევები ნევმების შესახებ, ცხადჰყოფენ ნათესაურ კავშირს XIX საუკუნის ქართულ ნევმებსა და შუა საუკუნეების ნევმებს შორის (ვგულისხმობთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის მანანა ანდრიაძის სადოქტორო დისერტაციას „საგალობელთა ჟანრები და ნევმირების ტრადიცია XIX საუკუნის ქართული ხელნაწერების მიხედვით" 1998 წ.).

გარეგნული და შინაგანი მხარე ამ გალობისა მარტივია და ძალდაუტანებელი. მას არა აქვს მიდრეკილება ეფექტურობისადმი. აქ არის სიტყვისა და ჰანგის სრული ჰარმონია. ხმათა მოძრაობის ვერტიკალი და ჰორიზონტალი გაწონასწორებულია.

XIX საუკუნის ბოლომდე მოღწეულმა ქართულმა მრავალხმიანმა გალობამ (XX საუკუნეში გალობა ხელშეუხებელი დარჩა. მისი ტრადიცია დროებით შეწყდა) თავისი არსებობისა და განვითარების დიდი გზა განვლო. იგი შეიძლება დავყოთ სამ პერიოდად. სადა კილოს, ნამდვილი კილოს და გამშვენებული კილოს პერიოდები.

1) <u>ხანა სადაკილოსი (დაახლოებით VII-XI ს.ს.)</u> - ყველაზე ადრინდელი, რომელიც ერთიანი იყო და დღესაც აერთიანებს მთელს საქართველოში სხვადასხვა სკოლებად განფენილ საგალობო კილოებს. ამ სადა გალობისათვის დამახასიათებელია მკახრი სტილი, მდორე მოძრაობები, ბგერა მარცვლის ტოლია (იხ. Q674 - საბავშვო წირვის წესი). ასეთ გალობაში სიტყვიერი ტექსტი იმორჩილებს მუსიკას. ჩვენის აზრით დაახლოებით ასეთი სახის გალობა უნდა ჟღერდეს შუა საუკუნეების ნევმირებულ

კრებულებში. გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას. გალობაში ტრანსფორმირების, ან ახალი ტიპის გალობის შემოღების ვერანაირ მინიშნებასაც კი ვერ ვხვდებით წერილობით წყაროებში, ან ზეპირ გადმოცემებში. პირიქით, რა პრინციპებითაც სწავლობდნენ გალობას XVIII - XIX საუკუნეში, იგივე პრინციპებით ისწავლებოდა გალობა შუა საუკუნეებშიც. სწავლების წესი მდგომარეობდა შემდეგში: მოსწავლეს ჯერ ასწავლიდნენ პირველ ხმას - მთქმელს, ანუ მზახრს, როგორც მას იოანე პეტრიწი უწოდებს, ხოლო შემდგომ ასწავლიდნენ პირველ ხმასთან მეორისა და ბანის შეწყობას. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხმების სახელების ხნიერებასთან დაკავშირებით თავის გამოკვლევაში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები" წმიდა გიორგი მთაწმინდელის შესახებ წერს: „გიორგი ხუცეს მონაზონს აღნიშნული აქვს: ყმაწვილობაშივე გიორგი „უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთა მისთასა წარემატა და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათაგანი მეყსა შინა ზეპირით დაისწავლნა"-ო". ჯავახიშვილი განმარტავს: „ე.ი. საგალობლების ჰანგების შებანებას, შეხმობას ზეპირად ადვილად იხსომებდაო".

შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს ის საერთო კილოური და მელოდიური ძირები (აღარაფერს ვამბობთ მრავალხმიანობაზე), რაც არსებობს საქართველოს სხვადასხვა სამგალობლო სკოლებს შორის და ეს არის კიდევ ერთი მყარი ნივთმტკიცება ერის ერთობისა და ერთიანი მუსიკალური მემკვიდრეობისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ისტორიულად ხშირად იყო დაყოფილი.

2) <u>ხანა კილოზე თქმული გალობისა, ანუ ნამდვილი კილოსი (დაახლოებით XI-XVI ს.ს.).</u> სწორედ ნამდვილი კილოს გაჩენა ნიშნავს გამშვენების დასაწყისს. აქ ჰანგი უთანაბრდება სიტყვას. ხმები იწყებენ მოკრძალებულ გაშლას. წინამდებარე კრებულში უმეტესად კილოზე თქმული, ანუ ნამდვილი კილოს საგალობლებია თავმოყრილი. ეს კილო სადა კილოს მემკვიდრეა. ნამდვილი კილოს გალობას ორი მახასიათებელი ნიშანი გააჩნია: ა) ნამდვილი კილო, რომელიც მიდრეკილია სადა გალობისაკენ და ბ) ნამდვილი კილო, რომელიც უფრო გამშვენებისაკენ იხრება.

3) <u>ხანა ე.წ. გამშვენებული გალობისა (დაახლოებით XVI-XIX ს.ს.).</u> ამ გალობაში ჰანგის მნიშვნელობა ზედმიწევნით იზრდება. გამშვენების შემთხვევაში იცვლება ტემპი გალობისა, ხმათა მოძრაობა უფრო ქმედითია, ხმები ხშირად ცვლიან ადგილებს: პირველი ხმა უცვლის ადგილს მეორეს, ხოლო მეორე ადის პირველის ადგილზე, ასევე ბანიც აფართოებს თავის დიაპაზონს. იცვლება მუხლებზე დაბოლოების ფორმები, ორჯერ გაზრდილი გრძლიობების ხარჯზე ხმებს ეძლევათ საშუალება უფრო მეტად იმოძრაონ, რითაც ქმნიან არაჩვეულებრივ მუსიკალურ ქსოვილებს (გამშვენების კლასიკური მაგალითი იხ. წინამდებარე კრებულში გვ. **134** კონდაკი „ზეშთა მბრძოლისა"). ზოგადად გამშვენებული გალობის კილოებად მოიაზრებიან: ა) გელათის სკოლის გამშვენებული კილო (იხ. ფ. ქორიძის ზემოთხსენებული პარტიტურა № 1), ბ) შემოქმედის სკოლა ე.წ. „დუმბაძის კილო" (იხ. კახი როსებაშვილის მიერ შედგენილი ორი სანოტო კრებული) და გ) ე.წ. „კარბელაანთ კილო" (აღმოსავლეთ საქართველო). დასავლური გალობის გამშვენებულ კილოში შედის ჭრელების წარმოშობაც; ერთის მხრივ, ჭრელის, როგორც ცალკეული ფრაზის ჩამატება საგალობელში (იხ. წინამდებარე კრებულში გვ. **58** მუხლი „გაბრიელ"), მეორეს მხრივ კი, დამოუკიდებელი, თვითხმოვანი ჭრელი საგალობლის შემოსვლა ღმრთისმსახურებაში.

Q674 ხელნაწერში სამი წირვის მაგალითზე ნათლად ჩანს ქართული გალობის ამ სამი ძირითადი პერიოდის თავისებურებანი და მათი საერთო წარმომავლობა. საერთოდ იმისათვის, რომ კარგად გაეცნო ქართული საგალობლის შინაგან ბუნებას, აუცილებელია მისი ღრმა პრაქტიკული შესწავლა თეორიულ ძიებასთან ერთად, რაც გაგვიადვილებს საგალობელზე დაკვირვებასა და მისი ისტორიული ანალიზის გაკეთებას.

* * * *

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ძველი გალობის აღდგენისა და მისი ეკლესიაში დანერგვის საქმე ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდმა დაიწყო და დღესაც აგრძელებს ამ საქმეს. რომ არა ამ გუნდის არსებობა და გამოცდილება, ფრიად გაჭირდებოდა ძველი საგალობლების რესტავრირება და მისი სანოტო რედაქტირება. კრებულში შესული თითოეული საგალობელი ამ გუნდის მიერაა გაჟღერებული, რითაც ქრება საშიშროება დიდი ცდომილებებისა, რაც გამოცდილების არქონის გარეშე გამორიცხული არ იყო.

საგალობელთა რედაქტირების პრინციპებზე საუბარი გვაქვს წინა კრებულის წინასიტყვაობაში. აქ კი, დამატებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ რედაქტირებისას ვაწყდებით ხოლმე დიდ წინააღმდეგობებს. ძველი ქართული გალობის ბგერათა წყობა ვერ ეტევა და არ შეესაბამება ხუთ ხაზიან ტემპერირებულ წყობას (ამის შესახებ იხილეთ ჩვენი შრომა **1992** წლის ჟურნალ „ხელოვნების" მეშვიდე ნომერში). ამდენად, ვიდრე დაინერგებოდეს სწავლებაში ძველქართული ბგერათა წყობა, ნაცვლად იმისა, რომ საგალობლებს ვსვამდეთ თავის ბუნებრივ წყობასა და შესაბამის კილოებში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით გვიხდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი თარგმნა ტემპერირებულ წყობაში, რის გამოც იკარგება გარკვეული სიმდიდრე ქართული საგალობლის რეალური ჟღერადობისა და ქართული ბგერათწყობის მრავალფეროვნებისა. აქედან გამომდინარე, ეს უნებლიე ნაკლი ამ კრებულს თავისთავად გააჩნია.

რედაქტირების დროს დედანზე მუშაობისას, ზოგ შემთხვევაში, ოდნავ თავისუფლად ვუდგებით. თუმცა აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეს თავისუფლება თვითნებობით არ არის განპირობებული, არამედ ზის რა გალობის კანონიკისა და კილოს ჩარჩოში, გამომდინარეობს და ემსახურება დღევანდელ პრაქტიკასა და საშემსრულებლო ინტერესებს (მომავალში ასეთი დაშვებები მინიმუმამდე შემცირდება).

მოგვყავს სამი მაგალითი. პირველ შემთხვევაში წარმოჩენილია თვით დედანში არსებული ცდომილება. მეორე მაგალითის შემთხვევაში წარმოჩენილია ის ცვლილება ხმათა მოძრაობაში, რომელსაც ჩვენ ვუშვებთ დედანთან შედარებით ზოგიერთ ფრაზაში, რაც ტემპერირებული წყობისთვის უფრო გამართლებულად მიგვაჩნია. ხოლო მესამე მაგალითში გამართულია არა მხოლოდ ხმათა მოძრაობა გარკვეულ მონაკვეთში, არამედ მთლიანად მუხლი. შევჩერდეთ კონკრეტულად თითოეულ მათგანზე.

<u>**პირველი მაგალითი**</u> - ბზობის „დ" ხმის ტროპარი „დაფლულნი შენთანა" (იხ. ხელნაწერი **Q674** გვ. **525-526-527**) დედანში ასეთი სახითაა:



— 526 —
(№8) Музсектор Гиз'а.



ამ შემთხვევაში საყურადღებოა შემდეგი რამ: ზოგადად, „დ” ხმის ტროპართა ყველა არსებულ ვარიანტში, ეს იქნება ხელნაწერი თუ ფონოჩანაწერი, საგალობლის მოდულაციური გეგმა არ სცილდება ერთ ტონს, ე.ი. მთლიანი ნაგებობა საწყისი კილოდან მონაცვლეობს არა უმეტეს ერთი ტონით ქვემოთ ან ზემოთ, ხოლო საგალობლის ბოლოს, როგორც წესი, ჩამოდის ერთი ტონით ქვემოთ და რჩება იმავე კილოში. ბზობის ამ ტროპარში კი, ხელნაწერის მიხედვით მოდულაცია ხდება საწყისი კილოდან ორი ტონით ქვემოთ. ტონალობის ასეთი ვარდნა გალობის დროს უხერხულობას იწვევს. ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში დედანში გამონაკლისთან არ უნდა გვქონდეს საქმე. გვჯერა, რომ აქ ნოტებზე გადამტანს მოსვლია შეცდომა. როდესაც იწყება ფრაზა - „აღდგომითა შენითა”, ვერტიკალში, ნაცვლად (ზემოდან) დო, ლა, დო, უნდა იყოს რე, სი, რე და შესაბამისად საგალობლის დანარჩენი ნაწილიც ერთი ტონით მაღლა უნდა წარიმართოს, რის შემთხვევაშიც ყველაფერი თავის ადგილზე დგება. რედაქტირებული სახით ეს ტროპარი იხილეთ წინამდებარე კრებულში გვ. **144**.

<u>**მეორე მაგალითი**</u> - ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების IX ძლისპირის მონაკვეთი (იხ. ხელნაწერი **Q674** გვ. **418**):



თუ დედანში მუხლები მთავრდება კვინტის კადანსზე, ჩვენ დავაბოლოვეთ უნისონზე. რედაქტირებული სახით ეს IX ძლისპირი იხილეთ წინამდებარე კრებულში გვ. **57-58**. აქ ჩვენ შევცვალეთ მუხლებზე დაბოლოების ფორმა.

<u>**მესამე მაგალითი**</u> - წინადაცვეთის „ა” ხმის ტროპარის ბოლო მუხლი დედანში (იხ. ხელნაწერი **Q674** გვ. **462-463**):





ამ მუხლის მელოდიური ნახაზი ბუნდოვანია. ნათელია, რომ შეცდომაა დაშვებული ჩაწერის დროს. ჩვენ ანჩისხატის ტაძარში ვგალობთ ამავე ხმის „უფალო ღაღადვყავს” დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერების მიხედვით. ეს პრობლემაც ამ საგალობლის მიხედვით გადავწყვიტეთ. რედაქტირებული სახით ეს ტროპარი იხილეთ წინამდებარე კრებულში გვ. **84-85**.

კრებულს თან ახლავს ჩანაწერი, რომელიც ანჩისხატის ტაძრის გუნდმა ჯერ კიდევ **1995** წელს ჩაწერა ამ წიგნისათვის, რომელსაც გამოცემა მხოლოდ ეხლა ეღირსა. ზოგადად, საშემსრულებლო სტილსა და მანერას ჩვენ კანონიკის დონეზე განვიხილავთ, ვანიჭებთ რა მას კანონიკური მელოდიის ტოლფას მნიშვნელობას.

დასასრულს გვსურს მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც დახმარება გაგვიწია კრებულის მომზადებაში. სულიერ მამათა ლოცვა-კურთხევის მადლი თან გასდევდა კრებულის მომზადებას. დიდ მადლობას ვუხდით ნოდარ მამისაშვილს, კრებულის რედაქტორს, რომლის პროფესიული რჩევები ჩვენთვის ყოველთვის სარგებლობის მომტანია; ბატონ ექვთიმე კოჭლამაზაშვილს, რომელმაცდახმარება გაგვიწია სიტყვიერი ტექსტის შესწორების მხრივ; ქალბატონ ლამარა ქაჯაიას, რომელმაც თავის დროზე სამი სქელტანიანი ხელნაწერი ფოტოასლების სახით გადასცა საქართველოს საპატრიარქოს;

მიუხედავად დიდი მცდელობისა, გამოცემას გააჩნია ნაკლოვანებები. ჩვენ ყურადღებით მოვეკიდებით ყველა შემოთავაზებულ შენიშვნას.

მალხაზ ერქვანიძე

Introduction

This volume continues a series of Georgian chant publications intended to revitalize the medieval chant tradition. The first in the series was published in 2000 and includes the basic required chants for the All-Night Vigil and Divine Liturgy. This second collection contains the basic chants of the Twelve Great Feasts and the Immovable Feast Days, but unfortunately does not include the full breadth of chants from the Feast Days of other saints. The chants in both of these publications are in the *Sada Kilo* ('Plain Mode') and *Namdvili Kilo* ('True-Simple Mode'),[1] and originate from the medieval school of chant at the Gelati Monastery.[2] In our opinion, the *Sada Kilo* chant from the Gelati and Martvili Monastery schools is the most suitable for church services, as it combines a masterful balance of text and melody.

Georgian chant is believed to have originated in the Tao-Klarjeti region between the seventh and tenth centuries (present day NE Turkey)[3] from where it spread to the major monastery-academies throughout Georgia. Chant flourished at the academy of Iqalto in far eastern Georgia, the Gelati academy in the Kutaisi region, and Martvili (Chqondidi) Monastery. During the eleventh and twelfth centuries, chant was unified in the school of hymnography at the Gelati Monastery, which was among the leading spiritual and educational centers of the world at that time.

Due to the intervention of Russian Tsarism in the early nineteenth century, church services in Georgian were discouraged and in many cases forbidden in place of Russian style services. Dependent on the church for support, traditions such as Georgian chant suffered as a result of the church disintegration. Thankfully, chant was safeguarded from complete loss by the singing tradition in several aristocratic families. Today, in reference to the chant styles passed down by these families sometimes bear their name, such as the *Dumbadze mode*, the *Chalaganidze mode*, and the *Karbelaant mode*.[4] It must be noted that the difference between these family modes is relative because all chant traditions in Georgia come from the same common source, as this essay will discuss.

During the nineteenth century, when canonical chant tradition was not in the control of the churches and monasteries, the influence of secular singing became stronger. For example, in the *Karbelaant mode* chant from eastern Georgia, one can find ornamented cadences typical of secular songs from the eastern regions of Kartli-Kakhetian. Another quality found in eastern style chant that is considered to be the influence of secular music is the overdevelopment of the middle voice, which is so prominent that it often subordinates the melody and bass harmonies. *Dumbadze mode* chant from Western Georgia is also influenced by secular music. This is seen in abrupt rhythmic movements and interval leaps larger than a 3rd, characteristics inconsistent with the *Sada Kilo* from the Gelati Monastery. Though the many surviving chant modes seem quite diverse, they in fact illustrate the preservation of a single canonical chant rule, which is expressed in the melody and structure of the *Sada Kilo*. This remarkable observation needs special attention and future research.[5] With God's help, these precious family-mode chants will soon be published, but for now, the Gelati *Sada Kilo* takes precedence in bringing the Georgian tradition back into common practice.[6]

The Gelati Monastery *Sada Kilo* is not mentioned in written sources from the Middle Ages, but we can bring together the words of several famous chanters and musicologists of the modern era to make the case for a common source of chant.

---

1. *Sada Kilo* (Plain Mode) chant is also referred to as 'Children's Mode' (*Sabavshvo Kilo*) and consists of the basic structure of the chant in three-part harmony without ornamentation or elaboration. *Namdvili Kilo* (Simple-True Mode) is a further development of *Sada Kilo* in which the original melody and harmonies are elaborated. *Gamshvenebuli Kilo* (Colorful Mode) is the furthest development of chant elaboration, and is characterized by strong ornamentations that vary in harmonic structure according to region.

2. The Gelati Monastery is located outside the city of Kutaisi, and was constructed by King David the Builder in the twelfth century.

3. Famous 9th-10th centuries hymnographers Grigol Khandzteli and Michael Modrekili collected and composed chants in illustrated manuscripts at monasteries in the Tao-Klarjeti region, see Magda Sukhiashvili, 2002.

4. The Dumbadze family came from the village of Ozurgeti in the Gurian region and for generations sang in the Shemokmedi Monastery. The Chalaganidze family came from the Martvili Monastery area, and the Karbelashvili family came from the village of Chala in the Kartli region. These three areas developed different manners of regional *Gamshvenebuli Kilo* (Colorful Mode) chant.

5. Comparison between *Gelati Mode*, *Dumbadze Family Mode*, and *Karbelaant Family Mode* versions of a single chant, for example *Shen Gigalobt* (We Bless You), reveal a striking similarity in their nearly identical melodies. The bass and middle voices vary according to regional style but follow the same harmonic structure. *Karbelaant mode* bass lines are very simple while the middle voice ornaments with stepwise, melismatic phrases. *Dumbadze mode* has a highly active bass, while the melody is often ornamented with secular variations from Gurian region folksongs.

6. A book of one hundred *Dumbadze mode* chants from the Shemokmedi Monastery chant school has been collected and transcribed by scholar Davit Shughliashvili from the Artem Erkomaishvili audio archive (published 2003). A separate collection of *Karbelaant mode* chant has also been prepared (published 2005).

Pilimon Koridze [7] wrote: "Chanting was distributed throughout Georgia from the Gelati and Martvili Monasteries… several centuries ago *Sada Kilo* was in practice in Guria, but now *Varjishi Galoba* ('Colorful Mode' chant, synonymous with *Gamshvenebuli Kilo*) is common. Mamia IV, Governor of Guria (17th century), was not satisfied with the *Sada Kilo*, so he invited singing members of the Tskvitishvili noble family from Gelati Monastery to come and teach more complicated chant. These singers brought the tradition of *Gamshvenebuli Kilo* chant with them to Guria…." [8]

Deacon Razhden Khundadze [9] wrote, "In bygone times, Gelati was the nesting ground (*deda-bude*) for church chant, and in modern times some of our most famous and renowned chanters have been trained at Gelati including Anton Dumbadze, Sino Kandelaki, Davit Chkhareli (Shotadze), and others." [10]

"How is it possible that we call this chant *Imeretian mode*?" [11] Exclaimed one author in the Iveria newspaper. "This is the original chant mode of our Georgian church, begun in the times of Davit Aghmashenebeli.[12] The Gelati Monastery was the nesting grounds for church chant; it was the site of the main school and chant spread from there not only throughout the Imeretian region, but to all corners of Georgia. The so-called *Karbelaant Kilo* is nothing but Gelati Monastery mode in its basic structure.…" [13]

The chant schools of Western Georgia were closely linked with one another, as demonstrated by the fact that chanters were able to easily match their various styles of chant when singing together. One remarkable story illustrates this interesting fact. Artem Erkomaishvili, a renowned Gurian chanter and singer once said, "In the old times there was one common style of church chant. At the Martvili Monastery in Samegrelo, Dito Chalaganidze's group still sings in this common style. Chalaganidze was Davit Dumbadze's friend. One day there was a funeral of an important man, so a special service was organized in his honor at the Martvili Monastery. One of Chalaganidze's singers was ill, so I offered to help… and sang every hymn that was in the service with their choir. Afterwards, Dito took me into his room, thanked me and asked, 'How did you manage to learn all those hymns at such an early age?'" [14]

Another interesting point illustrates the common origin of chant. Though Anton Dumbadze was a master of the *Shemokmedi Monastery mode*, he sang the *Gamshvenebuli Kilo* from Gelati when working with transcriber Pilimon Koridze. Presumably, this is the same style of chant that Dumbadze taught to Artem Erkomaishvili who, years later, was able to sing at the funeral with Chalaganidze's Martvili Monastery choir.

From these various sources we conclude that church chant melodies and structures were the same throughout Georgia, which can also be said for the Georgian literary language. Folksongs, on the other hand, vary widely between regions. The chants included in the present collection were selected from Abbot Ekvtime Kereselidze's manuscripts[15] and are, to the best of our knowledge, examples of a common school of chant.[16] We examine the evidence:

---

7. Pilimon Koridze (1835-1911), a famous opera singer, spent the last thirty years of his life transcribing nearly five thousand chants into western notation. He worked with famous master chanters including Anton Dumbadze, Razhden Khundadze, Ivliane Tsereteli, Dimitri Chalaganidze, and others.

8. See Historical Archive of Georgia, P. Karbelashvili's personal archive #1461-126; P. Koridze's article "A. Few Remarks on the Historical Review of Chants and Songs by Fr. Polievktos Karbelashvili." Polievktos Karbelashvili (1855-1936) was the eldest son of famous master chanter Grigol Karbelashvili from the village Chala in Kartli. Together with his brother Vasili Karbelashvili, he worked to save the Eastern Georgian chant mode and wrote a book on the history of chanters and singers from the region.

9. Razhden Khundadze (1858-1929), a famous master chanter of the Gelati, Martvili, and Shemokmedi chant schools, was also a priest in Kutaisi.

10. Deacon Razhden Khundadze, Shinauri Sakmeebi newspaper, #18, 1910

11. Imereti is the name of the region straddling the north-south mountains in central Georgia between the Kartl-Kakhetian regions to the east and the Gurian-Megrelian regions to the west. The Gelati Monastery stands outside the Imeretian regional capital of Kutaisi.

12. 'David the Builder' was a famous king who joined three regions to create the first unified Sakartvelo 'Land of the Karts' (Georgia) in the 12th century.

13. Iveria newspaper, About Pilimon Koridze and Church Chanting, article #259, 1890. The author points out that all varieties of chant stem from the so-called 'Imeretian mode,' which should be more clearly termed the 'Gelati Monastery Mode.'

14. Anzor Erkomaishvili, Grandfather, p 31. Remarkable about this story is that Artem Erkomaishvili (1887-1967), who studied chant with Melkisedek Nakashidze and grew up singing Shemokmedi Monastery chant (Gurian region) could easily sing in the chant mode of the Megrelian choir. Shemokmedi mode sounds distinctly unique from *Gelati mode*. The fact that Artem Erkomaishvili also knew a basic structure of church chant which was compatible with the mode sung by the Martvili Monastery choir implies a pedagogy (now lost) whereby students learned a common *Sada Kilo* before learning regional variation. At age twenty-two, Artem Erkomaishvili already knew both *Gelati mode* and *Shemokmedi mode*.

15. Ekvtime Kereselidze (1865-1944), now a saint of the Georgian Orthodox Church. Between 1912 and 1936 Kereselidze organized and recopied the approximately 5500 rough-draft transcriptions inherited from Pilimon Koridze and Maxime Sharadze's Tbilisi Press. During this time his life was threatened repeatedly, but he was able to continue safeguarding himself and the chant manuscripts by moving between the Gelati, Tsvetitskhoveli, and Zedazani Monasteries. In 1936 the chants were safely delivered to friends in the State Manuscript Archive, where they were kept safe but largely unseen until 1988.

16. Nowhere in the Kereselidze manuscripts are the chants referred to as '*Gelati school*' or '*Gelati Mode*,' therefore this essay examines the basis for stating that one common school of *Sada Kilo* chant existed, and that this chant was developed at the Gelati Monastery.

1. The chant mode in the manuscripts is Western Georgian. It is known that in Western Georgia chant spread from the Gelati and Martvili Monasteries.

2. Pilimon Koridze transcribed chant from representatives of three regions: From the Guria region were Anton Dumbadze and his students Melkisedek Nakashidze and priest Nestor Kontridze; representing the Samegrelo region was Dimitri Chalaganidze; from the Imereti region came Ivliane Tsereteli, Aristovle Kutateladze, and Deacon Razhden Khundadze (who was born in Guria but worked in Kutaisi).[17] Other chanters were also present. The transcriptions from these master chanters show the similarity of their collective chant education even though they represented such a diverse area in Western Georgia.[18] From an article in the Iveria newspaper, we read a similar observation. "It is an interesting fact that at the auditions for the transcription project, all of the chanters sang together similarly as if they had studied with the same teacher. Dumbadze from Guria, Chalaganidze from Samegrelo, Kandelaki from the village of Gelati, Medzmariashvili from Lower Imereti, Ioseb Tsereteli from Upper Imereti, V. Kutateladze from the town of Khoni… they all chanted in the same mode. They inspected Koridze's transcriptions and agreed upon the correct mode together."[19]

3. *Gamshvenebuli Kilo* ('Colorful Mode') chant has clear links with *Sada Kilo* ('Plain Mode') chant. Ekvtime Kereselidze copied examples of chants in all three modes in the manuscript Q674, where it is easy to see the development from *Sada Kilo* to *Namdvili Kilo* to *Gamshvenebuli Kilo*. When transcribing, Pilimon Koridze sourced the *Gamshvenebuli Kilo* chants as originating from the Gelati school, therefore it follows that the *Sada Kilo* also comes from Gelati.

Modern studies on the pre-western notational systems (neumes) in Georgian manuscripts reveal a close relationship between examples from the nineteenth century and from the Middle Ages.[20] From the eleventh to the eighteenth century there was a natural development of chant that closely followed rules of canonical chant melody, but in the nineteenth century the tradition was almost lost. In the twentieth century, any chance of chant preservation or revival was frozen (in an atheist regime). The history of chant can be divided into three periods: the era of *Sada Kilo*, the era of *Namdvili Kilo* chant, and the era of *Gamshvenebuli Kilo* chant.

The era of *Sada Kilo* (approximately 7th - 11th centuries) was characterized by the composition, unification, and eventual distribution of chant to various schools throughout Georgia. *Sada Kilo* is homophonic and follows a strict canonical rule with simple harmonic and melodic movements.[21] In *Sada Kilo* the verbal text is stronger than the music. We believe that medieval neume notation most likely depicts chant in *Sada Kilo*, and in neither the written nor the oral record is there any indication that chant has radically transformed or changed from that time.

Furthermore, we presume that in the eighteenth to nineteenth centuries, the transmission of the chant tradition was similar to the Middle Ages. In reference to the earliest known Georgian hymnographers, twentieth century scholar Ivane Javakhishvili translated a reference to Giorgi Mtatsmindeli (George of Mount Athos) from old Georgian to modern Georgian, "…young Giorgi easily and quickly memorized the harmonization of the voices to the chant melodies."[22] This quote seems to indicate that students first studied the canonical first-voice melodies, as passed down through the line of master chanters, then learned the theory of harmonizing these melodies in the second and third voices.[23]

---

17. In the first major transcription effort (1884-1885), Dumbadze, Chalaganidze, Tsereteli, and Khundadze worked together from 1885-1887 to figure out the most important chants to transcribe with Pilimon Koridze, and in what mode they should be sung.

18. See Pilimon Koridze, Score #1, Tpilisi, 1895

19. Iveria newspaper, author unknown, 1890, #259

20. Doctoral Dissertation by Manana Andriadze, Ph.D., "Genres of Chant and the Tradition of Neumatic Notation According to 19th Century Georgian Manuscripts," 1998

21. See Manuscript Q674, *Sabavshvo Tsirvis Tsesi*, 'Children's Service Mode'

22. Ivane Javakhishvili, Basic Aspects of Georgian Music History, 1938, quote as written down by scribe, Priest-Monk Giorgi. Of note is that the word for 'harmonization' has been translated from Old Georgian 'shets'qobileba galobata' to Modern Georgian 'hangebis shebaneba.'

23. Ioane Petritsi, 11th century philosopher and theologian, named the three voices of Georgian chant: mzakhr, meaning 'to call', first voice; zhir, meaning 'second' (in Mingrelian dialect), second voice; bam, possible ancestor to current 'ban' which means bass, third voice (ertbamad in Mingrelian dialect means to collect, to blend, to remain together).

